სამხედრო-სამომარი მოქმედებების ზეგავლენა ლანდშაფტურ გარემოზე და მისი ეკოლოგიური შედეგები

გურამ ნარსია

ელ-ფოსტა: guram.narsia190@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ნაშრომში გაანალიზებულია სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო საინჟინრო გეოგრაფიის როლი თანამედროვე სამყაროში. განსაკუთრებით მკაფიოდ არის განხილული გეოგრაფიული აქტორების როლი სამხედრო საქმიანობაში, კერძოდ საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების რელიეფზე, კლიმატური პირობებზე, ჰიდროგრაფიულ ობიექტებსა და ნიადაგ-მცენარეულ საფარზე დამოკიდებულების საკითხები; ბელიგერაციული ანთროპოგენული ლანდშაფტების უნქციონირების ეკოლოგიური შედეგები და სხვ.

მთები უძველესი დროიდან იპყრობენ ადამიანის ყურადღებას და ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კაცობრიობის ისტორიაში. ანთროპოგეოგრაფიული თვალსაზრისით, მთები წარმოადგენენ გეოგრაფიული პირობების ძალიან მრავალფეროვან და ხშირად რთულ კომპლექსს. ამ პირობების გაანალიზებისას, შესაძლებელია წინა პლანზე გამოვიტანოთ ამა თუ იმ მთის ლანდშაფტის ბუნებრივი პირობები და მათი კავშირი ქვეყნის ტერიტორიის ომისათვის მომზადების საკითხში. საკომუნიკაციო მარშრუტებისთვის გარკვეული უღელტეხილის არჩევისას, ისტორიული, ეკონომიკური და სტრატეგიული პირობები ხშირად უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ბუნებრივი პირობები. მთების სტრატეგიული და სამხედრო ღირებულება (როგორიცაა ალპები, კავკასიონი, ჰიმალაი, ბალკანები და სხვ.) ისტორიულად გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი სახელმწიფოებს შორის ბუნებრივ საზღვრებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. მაღალი მწვერვალები, ხეობები და ხშირი ტყის საფარი მოწინააღმდეგეს ურთულებს მანევრირებისა და გადადგილების საშუალებას, ეს კი უპირატესობს ანიჭებს თავდაცვის პირობებში მყოფ მხარეს. შედეგად, უძველესი დროიდან დღემდე, მთიანი რეგიონები წარმოადგენენ ომების განვითარებისა და სხვადასხვა გეოპოლიტიკური ტიპის კონფლიქტების ასპარეზს.